

თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის
სარედაქციო-საექსპერტო საბჭოს
დებულება

1. ძირითადი დებულებები, საბჭოს ამოცანები და ფუნქციები

- 1.1. თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის (შემდგომში თსკ) სარედაქციო-საექსპერტო საბჭო (შემდგომში საბჭო) იქმნება რექტორის ბრძანებით.
- 1.2. საბჭო თავის საქმიანობას წარმართავს უმაღლესი განათლების შესახებ კანონის, თსკ-ს წესდებისა და წინამდებარე დებულების შესაბამისად.
- 1.3. საბჭო უფლებამოსილია:
 - 1.3.1. სასწავლო კურსების ლიტერატურით უზრუნველყოფის, სამეცნიერო კვლევების ძირითადი მიმართულებებისა და თსკ-ს მოღვაწეობის სხვა მიმართულებებზე დაყრდნობით, განსაზღვროს სასწავლო, მეთოდური, სამეცნიერო, ასევე სხვა ტიპის პროდუქციის გამოცემის პოლიტიკა და პრიორიტეტული თემატიკა;
 - 1.3.2. საბოლოო გადაწყვეტილება მიიღოს შესაბამისი რესურსების შერჩევაზე;
 - 1.3.3. შეაფასოს სასწავლო პროცესის შესაბამისი ხარისხის სასწავლო, მეთოდური და სამეცნიერო ლიტერატურით უზრუნველყოფის საკითხი;
 - 1.3.4. შეიმუშავოს სასწავლო, მეთოდური და სამეცნიერო ლიტერატურის გამოცემის ყოველწლიური გეგმები, განიხილოს და დაამტკიცოს აკადემიურ საბჭოზე;
 - 1.3.5. განიხილოს და მიიღოს გადაწყვეტილება სასწავლო/სამეცნიერო ნაშრომის გამოცემის/გადამუშავების/არგამოცემის თაობაზე;
 - 1.3.6. დაამტკიცოს გამოსაცემად წარმოდგენილი ნაშრომის რეცენზენტები და სარედაქციო საბჭო;
 - 1.3.7. დაამტკიცოს გამოცემის შესაბამისი სტატუსი, გრიფი და ტირაჟი.

2. სტრუქტურა და მუშაობის ორგანიზება

- 2.1. საბჭოს წევრები ინიშნება და თავისუფლდება რექტორის ბრძანებით;
- 2.2. საბჭო ანგარიშვალდებულია აკადემიური საბჭოს წინაშე;
- 2.3. საბჭოს შემადგენლობაში შედიან:
 - რექტორი
 - რექტორის მოადგილე
 - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
 - სამეცნიერო კვლევების დეპარტამენტის უფროსი
 - ფაკულტეტების დეკანები
 - გამომცემლობის ხელმძღვანელი
 - ადმინისტრაციის ხელმძღვანელიშესაძლებელია კონკრეტული საკითხის განხილვისას საბჭოს სხდომაზე მოწვეულ იქნან კონკრეტული მიმართულების/დარგის ექსპერტი/ები.
- 2.4. საბჭოს მუშაობას ხელმძღვანელობს თავმჯდომარე.
- 2.5. საბჭოს თავმჯდომარე:
 - 2.5.1. უზრუნველყოფს ყველა მიმართულებით დასახული ამოცანების შესრულებას და მუშაობას;
 - 2.5.2. ამტკიცებს საბჭოს დადგენილებას გამოცემის/გადამუშავების/არ გამოცემის შესახებ;
 - 2.5.3. ანგარიშვალდებულია აკადემიური საბჭოს წინაშე ჩატარებული მუშაობის შესახებ;
 - 2.5.4. გამოითხოვს მიმართულებებიდან და სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულებიდან საჭირო ინფორმაციას;
 - 2.5.5. შემოდის წინადადებით საბჭოს სტრუქტურის, ფუნქციის ცვლილების შესახებ.
 - 2.5.6. გადაწყვეტილებებს იღებს სხდომებზე, რომლებიც ტარდება არანაკლებ ერთისა

წელიწადში.

- 2.6. საბჭოს ჰყავს მდივანი, რომელსაც ხმების უმრავლესობით ირჩევენ საბჭოს წევრები.
- 2.7. საბჭოს მდივანი უზრუნველყოფს საბჭოს ორგანიზაციულ და ტექნიკურ საქმიანობას:
 - 2.7.1. ახდენს საბჭოს წევრების ინფორმირებას სხდომების ჩატარების შესახებ;
 - 2.7.2. საბჭოს წევრებს სხდომამდე სულ ცოტა 3 დღით ადრე აცნობს დღის წესრიგს;
 - 2.7.3. აწარმოებს საბჭოს სხდომების ოქმებს.

3. ნაშრომის გამოქვეყნება

- 3.1. თსკ-ს საგამომცემლო საქმიანობა ხორციელდება წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ 24.09.2010 წ. დამტკიცებული „ინსტრუქციის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის საგამომცემლო საქმიანობის შესახებ“ მიხედვით.
- 3.2. თსკ-ში საბიბლიოთეკო ფონდის შევსება ხორციელდება „საბიბლიოთეკო რესურსების განახლება/შესყიდვის“ წესის შესაბამისად.